

ქართულ კომერციულ ბანკებში მმართველობის ორგანოების
სამართლებრივი ფუნქციონირების პრობლემები



მარიამ ქოიავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.¹

¹ თამარ მოსიაშვილი და სხვა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისათვის (თბილისი: 2011 წელი), 47

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება ქართულ კომერციულ ბანკებში მმართველობის ორგანოების სამართლებრივი ფუნქციონირების პრობლემების კვლევას. ქართულ კომერციულ ბანკებში მმართველობის ძლიერი მექანიზმები აუცილებელია თანამედროვე ფინანსური გარემოს სირთულეების გადასაჭრელად, სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ბანკებში მმართველი ორგანოების ფუნქციონირების საკანონმდებლო რეგულაციების შესწავლა. კომერციულ ბანკებში არსებული პრობლემების მიგნების მიზნით, კვლევა ჩატარდა კორპორაციული მართვის სისტემების განვითარების საწყისი ეტაპიდან თანამედროვე საკორპორაციო მართვის სისტემების ჩამოყალიბებამდე. ნაშრომში დასმული საკითხის აქტუალობა გამომდინარეობს კორპორაციული მართვის არსიდან და მნიშვნელობიდან. კომერციულ ბანკებში სამართლებრივად სრულყოფილი კორპორაციული მართვა საქართველოში უფრო მეტი და ძლიერი კორპორაციის შექმნის საფუძველს წარმოადგენს.

ვინაიდან თანამედროვე ქართულ კორპორაციულ სამართალში საზოგადოების ხელმძღვანელობასა და მაკონტროლებელ ორგანოთა შორის უფლებამოსილების გადანაწილების/სწორად გამიჯვნის საკითხი საკმაოდ აქტუალურია, აქედან გამომდინარე, ნაშრომში დამოუკიდებლად არის განხილული სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორთა საბჭოს, ბანკის აქციონერთა უფლებებისა და ვალდებულებების სამართლებრივად ნაკლოვანი მხარეები, რომელთა გაცნობიერებაც აუცილებელია ბანკის, როგორც კორპორაციული სამართლის სუბიექტის უკეთ ფუნქციონირებისათვის.

კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ საქართველოს ბანკების კორპორაციული მართვის ორგანოების უფლებრივი მდგომარეობის ზოგადი საფუძვლები და მათი რეალური როლი პრაქტიკაში განსხვავდება და საჭიროებს გარკვეულ ცვლილებებს.

რაც შეეხება კვლევის შედეგს, რაც გამოიხატა ნაშრომში, არის ის, რომ საქართველოს რეალობაში ქართული საკორპორაციო სამართლის საკანონმდებლო ბაზა მწირია და არ იძლევა საზოგადოებათა მმართველ, თუ სამეთვალყურეო ორგანოს წევრთა კვალიფიკაციას. ხოლო, კომერციულ ბანკებში მმართველობის ორგანოების არსებულ

სამართლებრივ რეგულაციებთან შესაბამისობა ასევე უამრავ ხარვეზს მოიცავს. ეფექტური კორპორაციული მართვისას პრობლემებს სწორედ ზემოაღნიშნული ხარვეზები ქმნიან, თუმცა შესაძლებელია ეფექტური რეფორმების განხორციელება, რაც დანერგავს საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც შემდგომ უკვე დახვეწილ კორპორაციულ მართვასა და საბანკო სექტორის მუშაობის გაძლიერებას გამოიწვევს.

ასევე ნაშრომის ფარგლებში გამოიკვეთა სხვადასხვა რეკომენდაციები, განსაკუთრებით, საქართველოს კომერციულ ბანკებში კორპორაციული მართვის სისტემაში არსებული მარეგულირებელი ნორმების ხარვეზებთან მიმართებით სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე, რაც აუცილებელია ქართულ კომერციულ ბანკებში მმართველობის ორგანოების უკეთ ფუნქციონირებისთვის და სამართლებრივი პრობლემების აღმოფხვრისთვის.

Abstract

The present paper deal with the research of the problems of legal functioning of management bodies in Georgian commercial banks. Strong mechanisms of governance in Georgian commercial banks are necessary to solve the difficulties of the modern financial environment, that is why it is important to study the legal regulations of functioning of govern bodies in banks. In order to find out the problems in commercial banks, the research was conducted from the initial stage of development of corporate management systems to the establishment of modern corporate management systems. The relevance of the issue raised in the paper derives from the essence and importance of corporate management. Legally perfect corporate management in commercial banks is the basis for creating more and stronger corporations in Georgia.

Since in modern Georgian corporate law, the issue of distribution/correct separation of powers between the management of the society and the controlling bodies is quite relevant, therefore the paper independently discusses the legally deficient aspects of the rights and obligations of the supervisory board, the board directors and the bank's shareholders, which are necessary to understand for the better functioning og the bank as a subject of corporate law.

During the research process, it was revealed that the general foundations of the legal status of corporate management bodies of Georgian banks are their role in practice differ and require certain changes.

As for the results of the research, that was revealed in the paper is that in reality of Georgia, the legislative base of the Georgian corporate law is scarce and does not provide the qualification of the members of the governing or supervisory bodies of the societies. And the compliance with the existing legal regulations of the governing bodies in commercial banks also includes many gaps. It is the above-mentioned shortcomings that create problems in effective corporate governance, although it is possible to implement effective reforms that will introduce best practices, which will further lead to improved corporate governance and strengthening of the banking sector.

Also, within the scope of the work, various recommendations were highlighted, especially regarding the gaps in the regulatory norms in the corporate management system of the commercial banks of Georgia and the future development prospects, which are necessary for the better functioning of the management bodies in the Georgian commercial banks and for the elimination of legal problems.